2018 წლის 20 მაისიდან 26 მაისის ჩათვლით ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე (პორტუგალია), Erasmus+ აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში, სწავლების მიზნით იმყოფებოდნენ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფ. ნინო იმნაძე და ასოც. პროფ. ნათია ქოჩლაძე.

ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებმა ჩაატარეს საჯარო ლექციები: „ტრანსფორმაცია არქიტექტურაში“ და „კლიმატის გავლენა ქართული საცხოვრებლის ინტერიერის ჩამოყალიბებაზე“.

ლექციებს ესწრებოდნენ ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის მაგისტრანტები და პროფესორ-მასწავლებლები. ამას გარდა, ქართველმა პედაგოგებმა მონაწილეობა მიიღეს „არქიტექტურული პროექტირების“ საგანში სტუდენტების მიერ წარმოდგენილი საკურსო პროექტების განხილვაში.

მობილობით ვიზიტის ფარგლებში, ასევე, გაიმართა სამუშაო შეხვედრები უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან: ანტონიო კასტელბრანკოსთან, პედრო როდრიგესთან და ოქსანა ტურჩანინასთან. პორტუგალიური უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან საქმიან შეხვედრებზე დაიგეგმა გარკვეული ღონისძიებები ორმაგი დიპლომის სადოქტორო პროგრამის „მდგრადი ურბანიზმის“ გაუმჯობესების მიზნით. აღსანიშნავია, რომ პროგრამა მომზადდა ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტთან ერთად.

დაიგეგმა კიდევ ერთი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სადოქტორო პროგრამის შექმნას არქიტექტურასა და ქალაქგეგმარებაში. აღნიშნული პროექტი ქართველ და პორტუგალიელ დოქტორანტებს უფრო მეტ შესაძლებლობებს მისცემს, მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამაში.

სტუ-ს აკადემიური პერსონალის მობილობა განხორციელდა Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, რომლის კოორდინატორისა ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი.